დამტკიცებულია 2018 წლის 28 დეკემბერს

სს ,,ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის" თვითრეგულირების საბჭოს დებულება

1. ზოგადი დებულებები:

1.1,სს ,,ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის თვითრეგულირების საბჭო არის თვითრეგულირების მექანიზმის ეფექტურობის გაზრდის მიზნით შექმნილი ორგანო, რომელის მოქმედების საფუძველს ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, მაუწყებლობის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებები, მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, "საქართველოს საარჩევნო კოდექსი", "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტები ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსი" .

1.2 საბჭო დაფუძნებულია სს ,,ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის დირექტორის მიერ.

2. საბჭოს მიზანი

2.1 საბჭოს მიზანია ხელი შეუწყოს ქცევის კოდექსით განსაზღვრული პროფესიული სტანდარტების დაცვას და გაწერილი რეკომედაციების გათვალისწინებას, აუდიტორიის ინტერესების დაცვას და საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულებით, მაუწყებელთა სანდოობის ზრდას.

3. საბჭოს წევრობა

„საბჭოს" შემადგენლობა განისაზღვრება 4 წევრისაგან. „საბჭოს" წევრთა შემადგენლობას ამტკიცებს სს ,,ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის დირექტორი. „საბჭოს" წევრი შეიძლება იყოს სს ,,ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის თანამშრომელი, დირექციის წარმომადგენელი, და ასევე მის ეთერში მომუშავე საავტორო გადაცემებისა და სტუდიების წარმომადგენელი. „საბჭოს" წევრები მუშაობენ ანაზღაურების გარეშე, საზოგადოებრივ საწყისებზე. „საბჭოს" ხელმძღვანელობას ახორციელებს „საბჭოს" თავმჯდომარე, სს ,,ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის" დირექტორი. „საბჭოს" თავმჯდომარე მუშაობს ანაზღაურების გარეშე, საზოგადოებრივ საწყისებზე. „საბჭოს" წევრი უფლებამოსილია გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე. „საბჭოს" შემადგენლობიდან წევრის გასვლის შემთხვევაში „საბჭოს" ახალი წევრის კანდიდატურა უნდა დამტკიცდეს არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში სს ,,ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის დირექტორის მიერ.„საბჭოს" თავმჯდომარე უფლებამოსილია გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე. „საბჭოს" თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში „საბჭოს" წევრები ირჩევენ ახალ თავმჯდომარეს. „საბჭოს" თავმჯდომარის არჩევნები უნდა ჩატარდეს არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. „საბჭოს" თავმჯდომარის თანამდებობიდან წასვლის მომენტიდან, ახალი თავმჯდომარის არჩევნებამდე, თავმჯდომარის ფუნქციებს დროებით ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობების შემსრულებელი. თავმჯდომარის მოვალეობების დროებით შემსრულებელს „საბჭოს" წევრები ირჩევენ თავისი შემადგენლობიდან ხმების უმრავლესობით.

4 . „საბჭო" ვალდებულია:

განიხილოს ყველა შესული საჩივრები დროულად გონივრულ ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 21 (ოცდაერთი) დღეზე მეტი ვადა, „საბჭო" ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ